კეთილსინდისიერი შემძენის სამართლებრივი დაცვის გარანტიები

ეთერი წიქარიშვილი

ნაშრომი წარმოდგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სამართლის დოქტორი

ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენის მარეგულიერებელი ნორმები და ამ ნორმების ზემოქმედება კეთილსინდისიერი შემძენის სამართლებრივ ინტერესზე. თუ რას გულისხმობს კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი, რა შემთხვევაშია შემძენი კეთილსინდისიერი და რა ფაქტობრივი გარემოებები გამორიცხავს მის კეთილსინდისიერებას. ასევე, განხილულია რისკები და დაცვის გარანტიები, რომელიც უკავშირდება აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობას. ნაშრომში წამოჭრილია პრობლემები, რომელიც იკვეთება საკითხის შესწავლისას და საუბარია მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

ნაშრომი მოიცავს მოკლე მიმოხილვას, თუ როგორ აისახება და განიმარტება კეთილსინდისიერი შემნძენის მარეგულირებელი ნორმები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. ასევე, მოცემული ნორმები შედარებულია გერმანული სამართალთან.

განხილული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული სანივთოსამართლებრივი გარიგებები ყოველთვის აქტუალურია პრაქტიკაში. აღნიშნული გარიგეგბების დროს კი მხარეთა დაცვის გარანტიებს გადამწყვეტი როლი აქვს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კეთილსინდისიერი შემძენი, სამოქალაქო ბრუნვა, გარანტიები, სასამართლო პრაქტიკა.

Abstract

The paper discusses regulating norms of acquirement of ownership right and their influence on legal interest of an good faith purchaser, what means the institute of an good faith purchaser, in which case the purchaser is good faith and what factual circumstances exclude ist good faith. The paper also discusses risks and guarantees for the protection related to mentioned legal relation. Rised problems in the paper are revealed during examining the issue and the paper discusses possible ways of solving problems.

The discussed issue is important as property legal deals related ownership right transfer are relevant in practice. The paper includes a brief overview about explanation of regulating norms of an good faith purchaser in Georgian Judicial practice. The mentioned norms are compared to German justice.

During mentioned transactions guarantees of the protection of the rights of parties have crucial role for stability of civil turnover.

Key Words: Good faith purchaser, Civil turnover, guarantees, Judicial practice.

აბრევიატურა

სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

უსგ-უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ე.წ-ეგრეთ წოდებული

მაგ-მაგალით

იხ-იხილეთ